ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის
ოქმი N 18
25.12.2018

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:
1. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის ერთჯერადად არჩევა
2. ფაკულტეტის 2019-2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცება
3. თსუ სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების დამტკიცება
4. თსუ დოქტორნატურის მინიმალური სტანდარტის პროექტის დამტკიცება
5. ადრეული განვითარების და განათლების კვლევითი ცენტრის დამტკიცება
6. ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამამათავრებელი სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭება
7. ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციის შესახებ
8. სხვა

სხდომას ესწრებოდნენ:
საბჭოს თავჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :
*ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:*

პროფესორები :
ლალი სურმანიძე

ასოცირებული პროფესორები :
ხათუნა მარწყვიშვილი, გიორგი გოროშიძე, მანანა მელიქიშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, შორენა მამუკაძე, ბელა არუთინოვა, ლილი ხეჩუაშვილი, თეონა ლოდია,
ასისტენტ პროფესორები :
ირინა გედევანიშვილი
*განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:*
პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორი :
ზაქარია ქიტიაშვილი, ეთერ ღვინერია

სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები:
მარიამ ხოშტარია, მარიამ ბექაური, ელენე ბერაძე, მარინა ბორჩაშვილი, ქეთევან ცანავა.

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 19 წევრი

1. **ფაკულტეტის საბჭოს მდივნის ერთჯერადად არჩევა**

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ საბჭოს მდივნის, ირინე ჟვანიას ავადმყოფობის გამო საჭიროა ერთჯერადად საბჭოს მდივნის არჩევა და დაასახელა ასოცირებული პროფესორის, ზაქარია ქიტიაშვილის კანდიოდატურა.

**საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ კანდიდატურას და დაამტკიცა ერთხმად**

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

2. **ფაკულტეტის 2019-2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცება**

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წარუდგინა ფაკულტეტის 2019-2020 წლის ბიუჯეტი. მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტი წინასწარ დაგზავნილი კიყო საბჭოს წევრებთან და მოკლედ მოახსენებს ძირითად ცვლილებებზე. კერძოდ, მოწვეული პედაგოგების ხარჯი გაიზარდა 320000 ლარიდან 380000 ლარამდე, 59500 ლარით. მივლინების ხარჯები გაიზარდა 10000 ლარით და გახდა 52 000, წარმომადგენლობითი ხარჯი გაიზარდა 10000 კარით და 20000 ლარი გახდა. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება განულდა, შემცირდა 13300 ლარით და ფაკულტეტზე აღარაა შტატგარეშე მომუშავეთა ვაკანსია.

**აზრი გამოთქვეს:** პროფ. ლ. სურმანიძემ, ასოც. პროფ. ე. ფირცხალავამ, ლ. ხიჩეუაშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია პროფესორების სამეცნიერო მუშაობის წახალისება. ისედაც კვლევისთვის არაა გამოყოფილი თანხები და პროფესორებს თავისი ხარჯით უხდებათ მუშაობა კვლევაზე. ასეთი დაგეგმვა ახანგრძლივებს პროცესს და მომქდედებს კვლევის ხარისხზე.

პროფ. თ. გაგოშიძემ აღნიშნა, რომ ახალ ბიუჯეტში ადმინიდსტრაციასთან შეთანხმებით შესაძლებელია პრემიის სახით პროფესორს გამოეწეროს თანახა 2500 ლარის ოდენობით იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების შემდეგ. აღნიშნული თანხის დაზოგვა შესაძლებელია მოწვეული პედაგოგების შემცირების ხარჯზე. ამიტომაა მნიშვნელოვანი სასწავლო პროცესის ოპტიმიზაცია და მოწვეული პედაგოგების საათების შემცირება, რის ხარჯზეც გამოთავისუფლდება თანხები.

**საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ 2019 წლის ბიუჯეტს და დაამტკიცა ერთხმად**

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

3. **თსუ სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების დამტკიცება**

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წარუდგინა ცვლილებები თსუ სადისერტაციო საბჭოს დებულებაში, რომელიც საბჭოს წევრებს წინასწარ ჰქონდათ დაგზავნილი. მან სთხოვა საბჭოს წევრებს გამოეთქვათ მოსაზრებები ან შენიშვნები დებულების ცვლილებებთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს:** პროფ. ლ. სურმანიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტი მჭიდროდ თანამშრომლობდა სადისერტაციო საბჭოს აპარატთან დებულებაში შესატანი ცვლილებების თაობაზე და ბოლო ვერსიაში ყველა კორექტივი შეტანილი იყო.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ ცვლილებებს თსუ სადისერტაციო საბჭოს დებულებაში და დაამტკიცა ერთხმად

4. თსუ დოქტორნატურის მინიმალური სტანდარტის პროექტის დამტკიცება

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა თსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის პროექტის შესახებ და თხოვა საბჭოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

**აზრი გამოთქვეს:** ასოც. პროფ. მ. მელიქიშვილმა, ზ. ქიტიაშვილმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მინიმალურ სტანდარტში ასახულია ყველა ის ნაბიჯი, რაც დოქტორანტმა უნდა გაიაროს დისერტაციის დაცვამდე. ფაკულტეტს თუ თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე რაიმე დამატებების შეტანა სურს და საკუთარ საჭიროებებზე მორგება, აუცილებელია ამ საკითხზე სპეციალური შეხვედრა დეპარტამენტებში.

საბჭომ კენჭი უყარა თსუ დოქტორანტურის წარმოდგენილ მინიმალურ სტანდარტს და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

5. ადრეული განვითარების და განათლების კვლევითი ცენტრის დამტკიცება

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ „უნისეფის" თაოსნობით განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მუშაობს ადრეული განათლების მოდელზე, რომლის ფარგლებშიც მეტად მნიშვნელოვანია საბავშვო ბაღიოს აღმზრდელების განათლება და ტრენინგი. „უნისეფის" პროექტის ფარგლებში საქართველოს უნივერსიტეტებში იგეგმება ადრეული განათლების სპეციალისტის საბაკალავრო პროგრამის შემუშავება და დანერგვა. იმისათვის, რომ ჩვენმა ფაკულტეტმა უპასუხოს ამ გამოწვევას, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი რესურსების კონსოლიდაცია ადრეული განათლების, ასევე ადრეული განვითარებისა და ადრეული ინტერვენციის სფეროებში. ამ მიზნით სასარგებლო იქნება ადრეული განვითრებისა და განათლების კვკლევითი ცენტრის შექმნა ფაკულტეტთან. მისი მიზანი იქნება ადრეულ განათლებასა და განვითარებაში საუკეთესო პრაქტიკის შემუშავება, დანერგვა, საბაკალავრო პროგრამის სემუსავების და განხორციელების ხელშეწყობა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია კვლევების წარმოება მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადრეული განათლების, განვითრების თუ ადრეული ინტერვენციის მოდელების და მიდგომების შესამუშავებლად. ცენტრის მმართველი ორგანო იქნება მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან როგორც ფაკულტეტის პროფესორები, ასევე დაეგში მომუშავე სპეციალისტები და პრაქტიკოსები: ფაკულტეტის ასოც. პროფესორები ე. ღვინერია, ნ. ლაზარტყავა, ი. აფთარაშვილი, თ. მახარაძე, პროფ. თ. გაგოშიძე, „უნისეფის" წარმომადგენელი, ადრეული განათლების სპეციალისტი ა. ჯანელიძე, საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი ნ. ტუღუში, საბავშვო ბაღების სააგენტოს წარმომადგენელი თინა თოიძე, ადრეული განვითარების სპეციალისტი, ადრეული ინტერვენციის პროგრამის კოორდინატორი „პირველ ნაბიჯში" რ. ბოჭორიშვილი.

საბჭომ კენჭი უყარა ადრეული განვითარებისა და განათლების კვლევითი ცენტრის შექმნას ფაკულტეტზე და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

6. ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭება

ასოც. პროფესორმა ზ. ქიტიაშვილმა წარმოადგინა ის სტუდენტები, რომლებმაც დაასრულეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი" მეხუთე საფეხურის სრული კურსი. მან აღნიშნა, რომ ეს მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგთა პირველი გამოშვებაა, როგორც თბილისში, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ისე ქუთაისის სასწავლო ცენტრში.

*ქუთაისის სასწავლო ცენტრი*

| № | გვარი | სახელი | გვარი ინგლისურ ენაზე | სახელი ინგლისურ ენაზე | პირადი ნომერი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბერუაშვილი | ელისო | Beruashvili | Eliso | |
| 2 | გაბადაძე | რუსუდანი | Gabadadze | Rusudani | |
| 3 | გვენეტაძე | თამარი | Gvenetadze | Tamari | |
| 4 | გობეჯიშვილი | ნათია | Gobejishvili | Natia | |
| 5 | იაკობაშვილი | თამარი | Iakobashvili | Tamari | |
| 6 | მანაგაძე | ნათია | Managadze | Natia | |
| 7 | მაღლაკელიძე | ია | Maglakelidze | Ia | |
| 8 | მუშკუდიანი | ქრისტინე | Mushkudiani | Kristine | |
| 9 | ონიანი | ნინო | Oniani | Nino | |
| 10 | ოქროპილაშვილი | სოფიო | Okropilashvili | Sophio | |
| 11 | ფორჩხიძე | ნათია | Porchkhidze | Natia | |
| 12 | ქურციკიძე | ია | Kurtsikidze | Ia | |
| 13 | წიქორაძე | თინათინი | Tsikoradze | Tinatini | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14 | ხარაბაძე | ელენე | Kharabadze | Elene |
| 15 | ხეცურიანი | ხათუნა | Khetsuriani | Khatuna |
| 16 | ხუბულავა | ნინო | Khubulava | Nino |
| 17 | ლორთქიფანიძე | ნუნუ | Lortkipanidze | Nunu |

თბილისი

| № | გვარი | სახელი | გვარი ინგლისურ ენაზე | სახელი ინგლისურ ენაზე |
|---|---|---|---|---|
| 1 | ავალიანი | ლონდა | Avaliani | Londa |
| 2 | ბეზარაშვილი | ნინო | Bezarashvili | Nino |
| 3 | ენუქიძე | სალომე | Enukidze | Salome |
| 4 | ქევხიშვილი | ელენე | Kevkhishvili | Elene |
| 5 | შახპარუნოვი | ია | Shakhparunovi | Ia |

**საბჭომ კენჭი უყარა ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი სტუდენტების კვალიფიკაციას დაამტკიცა ერთხმად**

მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

**7. ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციის შესახებ**

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ მოახსება საბჭოს, რომ აუცილებელია სასწავლო პროცესის ოპტიმიზაცია როგორც სწავლების გაუმჯობესების, ისე თანხების დაზოგვის გამო. მან აღნიშნა, რომ სასურველია გადაიხედოს მოწვეული ლექტორების სასწავლო კურსების სილაბუსების საათები მათი ოპტიმიზაციის მიზნით. ამავე დროს, ძალიან მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიის ახალ სასწავლო გეგმაზე მუშაობის პროცესში ისეთი პროგრამის შექმნა, სადაც სწავლების აქტიური მეთოდები იქნება გამოყენებული იმისათვის, რომ სამუშაო ჯგუფში სტუდენტების მაქსიმალური აქტივობა იქნეს მიღწეული. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ დაავალა დეპარტამენტის ხელმძღვანელებს დეპარტამენტებში იმსჯელონ სასწავლო პროცესის მოდერნიზაციის და ოპტიმიზაციის საკითხებზე და მოაწოდონ წინადადებები და გადაწყვეტის გზები.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე /თ. გაგოშიძე/

სხდომის მდივანი: ასოცირებული პროფესორი
ზაქარია ქიტიაშვილი /ზ. ქიტიაშვილი/